

საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს  
მოქალაქეების, საქართველოში მცხოვრები სხვა უიზიკური  
პირებისა და საქართველოს იურიდიული პირების მიერ  
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის  
წესი და პროცედურები

(საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავთან დაკავშირებულ

კონსტიტუციურ სარჩელებზე)

## სარჩევი

შესავალი	3
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: საკანონმდებლო ბაზა, სტრუქტურა და სამართალწარმოების საფუძვლები	3
ძირითადი ნაწილი	6
I. “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის 39-ე მუხლის მიმოხილვა	6
ა) სუბიექტთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვა	6
ბ) დავის საგანთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვა	8
გ) მოპასუხე	11
II. კონსტიტუციური სარჩელი	12
III. კონსტიტუციური სარჩელის შეტანა საკონსტიტუციო სასამართლოში	16
IV. საკონსტიტუციო სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომა	17
V. საოქმო ჩანაწერი	20
VI. განჩინება	21
VII. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი	22
VIII. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი	22
IX. საკონსტიტუციო სასამართლოს არსებითი განხილვის სხდომა	25
X. კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადები	27
XI. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება	27
XII. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები და აღსრულება	28
დასკვნა	30
დანართი	31

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქვეყნის ისტორიაში პირველად საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ გაითვალისწინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის აუცილებლობა. საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ისეთი ძირითადი პრინციპებისა და დებულებების დაცვის უმთავრესი გარანტია, როგორცაა: ხელისუფლებათა დანაწილება, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევის კონსტიტუციური საფუძვლები, სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციების გამიჯვნა და მრავალი სხვა.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში, როგორც წესი, მრავლადაა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული და გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უხეშად დარღვევის ფაქტი. ასეთ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უფლებათა დაცვის კონსტიტუციური გარანტიების შესაბამისი ინსტიტუტების განვითარება და რაც მთავარია, მათი პოპულარიზაცია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აღნიშნული ნაშრომი, რომელიც მარტივად წარმოგვიდგენს საქართველოს მოქალაქის, საქართველოს იურიდიული პირების, საქართველოში მცხოვრები სხვა ფიზიკური პირების და საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ამ უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გათვალისწინებულ პროცედურებს. იმედი გვაქვს, რომ ნაშრომი დაეხმარება კონსტიტუციური მართლმსაჯულებით დაინტერესებულ პირებს.

### საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: საკანონმდებლო ბაზა, სტრუქტურა და სამართალწარმოების საფუძვლები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელი აქტებია: საქართველოს კონსტიტუცია (1995 წელი), „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი (შემდგომი ორგანული კანონი (1996 წელი)), „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომი სამართალწარმოების შესახებ კანონი (1996 წელი)), „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ (1996 წელი) და საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი (შემდგომი რეგლამენტი (2002 წელი). ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო აქტებს შორის ორგანული კანონი და სამართალწარმოების შესახებ კანონი ქმნიან საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობისათვის ძირითად ნორმატიულ ბაზას. ამ კანონებმა საფუძვლიანი ცვლილებები განიცადეს 2002 წლის 12 თებერვალს, რაც ძირითადად საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის 5 წლის გამოცდილებამ განაპირობა.

საკითხის არსებითი მხარის განხილვამდე აუცილებლად მიგვაჩნია ზოგადად შევეხოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობასა და სტრუქტურას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა მოსამართლისაგან, რომელთაგან სამ-სამს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს უზენაესი სასამართლო და სამს ირჩევს საქართველოს პარლამენტი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურაში შედის პლენუმი და ორი კოლეგია (I და II). საკონსტიტუციო სასამართლოს თანამდებობის პირები არიან: საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარეები და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი. კოლეგიების შემადგენლობაში შედის ოთხ-ოთხი მოსამართლე. კოლეგიების თავმჯდომარეები ამავდროულად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებიც არიან. ცხრა

მოსამართლე, ანუ ორი კოლეგია და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ქმნის საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს (ორგანული კანონის მე-5-14 მუხლები).

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა შემადგენლობამ ფიცი დადო 1996 წლის 24 ივლისს. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარე იყო ავთანდილ დემეტრაშვილი. ამჟამად საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში არიან (ფრჩხილებში მითითებულია სუბიექტები, რომლებმაც ისინი თანამდებობაზე გაამწესა):

1. ჯონი ხეცურიანი – თავმჯდომარე (საქართველოს პრეზიდენტი);
2. ბესარიონ ზოიძე – თავმჯდომარის მოადგილე, I კოლეგიის თავმჯდომარე (საქართველოს უზენაესი სასამართლო);
3. ოთარ ბენიძე – თავმჯდომარის მოადგილე, მე-2 კოლეგიის თავმჯდომარე (საქართველოს პრეზიდენტი);
4. ნიკოლოზ შაშკინი – მდივანი (საქართველოს პრეზიდენტი);
5. ვახტანგ გვარამია – წევრი (საქართველოს პარლამენტი);
6. იაკობ ფუტყარაძე – წევრი (საქართველოს პარლამენტი);
7. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი – წევრი (საქართველოს უზენაესი სასამართლო);
8. ლამარა ჩორგოლაშვილი – წევრი (საქართველოს უზენაესი სასამართლო);
9. ზაურ ჯინჯოლავა – წევრი (საქართველოს პარლამენტი).

ა. დემეტრაშვილის გარდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები სხვადასხვა დროს იყვნენ გაა მეფარიშვილი ((მე-2 კოლეგიის თავმჯდომარე; (საქართველოს უზენაესი სასამართლო) და ავთანდილ აბაშიძე ((წევრი; (საქართველოს პარლამენტი).

საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის ორი ფორმა არსებობს: კონსტიტუციური სარჩელი და კონსტიტუციური წარდგინება. ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში შესაბამის სუბიექტებს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი შეაქვთ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისა და კოლეგიების განსჯადი საქმეები განსაზღვრულია ორგანული კანონის 21-ე მუხლით. ამ მუხლის შესაბამისად პლენუმი და კოლეგიები ერთმანეთისგან განსხვავებულ საქმეებს განიხილავენ. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიებს, მათ შორის ამ თვალსაზრისით განსხვავება არ არსებობს. აქ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ კონსტიტუციის მე-2 თავთან დაკავშირებულ სარჩელებს კოლეგიები განიხილვენ. შესაბამისად, ამ ნაშრომის ფარგლებში ჩვენ პირველი ან მეორე კოლეგიის სასამართლო პრაქტიკა გვექნება მხედველობაში.

საკონსტიტუციო სასამართლოში ორი სახის სხდომები იმართება: განმწესრიგებელი სხდომა და არსებითი განხილვის სხდომა. განმწესრიგებელ სხდომაზე განიხილება მხოლოდ ერთი საკითხი: უნდა მიიღოს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად. ანუ, გასაჩივრებული აქტზე მსჯელობის დაწყებამდე საჭიროა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინოს, უნდა განიხილოს თუ არა მან წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელი. ამით საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს, რაც კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა კრიტერიუმების მეშვეობით მოწმდება. ეს იმასაც ნიშნავს, რომ განმწესრიგებელ სხდომაზე არ მიმდინარეობს მსჯელობა იმის შესახებ, არის თუ არა სადავო აქტი კონსტიტუციური, ჩატარებულია თუ არა არჩევნები ან რეფერენდუმი კონსტიტუციის შესაბამისად, დარღვეულია თუ არა პრეზიდენტის მიერ კონსტიტუცია და ა.შ. აქვე დავამატებთ, რომ განმწესრიგებელი სხდომა არის საკონსტიტუციო სამართალწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტადია. მოსარჩელეს უნდა ახსოვდეს, რომ მხოლოდ ამ ეტაპის წარმატებით გადალახვა არის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო საკითხზე გადაწყვეტილების მიღების გარანტია (განმწესრიგებელი სხდომის თავისებურებების შესახებ ჩვენ კიდევ გვექნება საუბარი). რაც შეეხება არსებითად განხილვის სხდომას, სწორედ აქ წყდება გასაჩივრებული საკითხი არსებითად. ანუ ის, რომ სადავო აქტი კონსტიტუციური ან არაკონსტიტუციურია, არჩევნები

ან რეფერენდუმი კონსტიტუციის შესაბამისად ჩატარდა თუ არა და ა.შ. სწორედ არსებითი განხილვის საფუძველზე ღვინდება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებია: საოქმო ჩანაწერი, განჩინება, გადაწყვეტილება და დასკვნა. საკონსტიტუციო სასამართლო მე-2 თავის საკითხებზე შეტანილ სარჩელებზე დასკვნას არ იღებს, ამიტომაც ამ თემის ფარგლებში მასზე საუბარი არ გვექნება. დამატებით უნდა ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები არ საჩივრდება.

## მ ი რ ი თ ა დ ი   ნ ა წ ი ლ ი

### I. “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის 39-ე მუხლის მიმოხილვა

მოკლედ მიმოვიხილოთ ის საკანონმდებლო ბაზა, რომლითაც განსაზღვრულია საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს მოქალაქეების და საქართველოში მცხოვრები სხვა ფიზიკური პირებისა და საქართველოს იურიდიული პირების მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის საფუძვლები (ამ ჩამონათვალის გამარტივების მიზნით შემდეგში გამოვიყენებთ შესაბამისად ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ან სახალხო დამცველს).

ამ თემას ეხება კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტი და ორგანული კანონის მე-19 და 39-ე მუხლები. კონსტიტუცია და ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის “ე” ქვეპუნქტი საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციათა შორის ზოგადად იხსენიებს ჩვენთვის საინტერესო საკითხს. ანუ იმას, რომ სასამართლო განიხილავს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას.

ორგანული კანონის 39-ე მუხლი ყველაზე ამომწურავად არეგულირებს ამ საკითხებს. მის თანახმად: *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტების ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: ა. საქართველოს მოქალაქეებს; ბ. საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ პირებს; გ. საქართველოს იურიდიულ პირებს თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი. დ. საქართველოს სახალხო დამცველს, თუ მას მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი.*

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება მხოლოდ ორგანული კანონის 39-ე მუხლის საფუძველზე აქვთ. რაც შეეხება სახალხო დამცველს, მას საკონსტიტუციო სასამართლოსთან მიმართებით სხვა კომპეტენციაც გააჩნია, თუმცა მასზე მსჯელობა წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ბევრი საკითხი, რომელიც აქ იქნება გაშუქებული, თანაბრად ეხება სახალხო დამცველის სხვა კომპეტენციებსაც.

საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგიერთი თავისებურების წარმოსაჩენად შევეცადოთ კონკრეტულად შევხვით 39-ე მუხლიდან გამომდინარე რამდენიმე საკითხს. ეს საშუალებას მოგვცემს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებს შორის არსებულ განსხვავებაზეც.

#### **ა) სუბიექტთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვა**

ორგანული კანონის 39-ე მუხლიდან გამომდინარე საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებულ თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისმა სუბიექტმა შეიძლება მიმართოს პირდაპირ, ანუ მანამდე საჭირო არ არის სხვა სასამართლო ინსტანციების ამოწურვა. როგორც ვიცით, არის უფლებების კატეგორია, რომელიც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს შეეხებათ და შესაბამისად, მხოლოდ მათ აქვთ ამ საკითხებზე საკონსტიტუციო სასამართლოსადმი

მიმართვის უფლება (ასეთია მაგალითად მოქალაქეობის, საარჩევნო, პოლიტიკური გაერთიანების შექმნის უფლებები). საქართველოს მოქალაქეებსა და არამოქალაქეებს შორის განსხვავება საკონსტიტუციო სასამართლოს მექანიზმების გამოყენების საკითხებში მხოლოდ ამ საფუძველს შეიძლება ემყარებოდეს. იურიდიული პირების შემთხვევაშიც რამდენიმე დამატებითი ფაქტორია გასათვალისწინებელი. ფიზიკური პირებისაგან განსხვავებით მხოლოდ საქართველოს იურიდიული პირებს აქვთ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. გარდა ამისა, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სხვადასხვა უფლებებთან დაკავშირებით შეუძლიათ სარჩელის შეტანა. ის, თუ რომელი უფლების დასაცავად აქვს იურიდიულ პირს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, პასუხობს კონსტიტუციის 45-ე მუხლი. ამ მუხლის შესაბამისად: “კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზეც”. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვამდე საჭიროა შემოწმდეს ეს კონკრეტული უფლება შეიძლება თუ არა შეეხებოდეს იურიდიულ პირს (მაგალითად, კონსტიტუციის მე-12, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-18 მუხლი მხოლოდ ფიზიკურ პირებზე ვრცელდება).

განსხვავება არსებობს 39-ე მუხლში აღნიშნულ პირებსა და სახალხო დამცველს შორისაც, თუმცა, ეს სრულიად სხვა საკითხში გამოიხატება. კერძოდ, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს სახალხო დამცველს კი უფლება აქვს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მიაჩნია, რომ უკვე დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი.

ზემოაღნიშნულის დასაკონკრეტებლად საჭიროა საკითხთა ორი წრის გამოყოფა:

1) ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა იდავონ მხოლოდ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. სახალხო დამცველის შემთხვევაში საკმარისია, რომ ზოგადად იყოს დარღვეული ადამიანის უფლებები ან თავისუფლებები. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად ხდებოდა საქმის განსახილველად მიუღებლობა იმ მოტივით, რომ მოსარჩელები სხვისი და არა საკუთარი უფლებების დასაცავად დავობდნენ. პირველი ასეთი გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო მოსარჩელე ი. ოქრუაშვილის საქმეზე 1997 წლის 10 იანვარს (საკითხი ეხებოდა იმ დროისათვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლს). ოთხი დღის შემდეგ, იდენტური გადაწყვეტილება (№1/7/20) მიიღო პირველმა კოლეგიამ სიკვდილის დასჯის გაუქმების მოთხოვნით შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელზე (მოსარჩელები: ლ. სანიკიძე და კ. დავითაშვილი).

2) ფიზიკურ პირებს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლიათ როგორც იმ შემთხვევაში, როცა მათი აზრით, უფლებები უკვე დარღვეულია, ისე მომავალში მოსალოდნელი დარღვევის თავიდან ასაცილებლად. ამ შემთხვევებშიც მოსარჩელეს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს, რომ დავა უშუალოდ მის უფლებებს ან თავისუფლებებს უნდა შეეხებოდეს. უნდა აღინიშნოს, რომ 2002 წლამდე საკონსტიტუციო სასამართლო არ იცნობდა მოსალოდნელი დარღვევის საკითხებზე სარჩელის შეტანის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანწილად ამანაც განაპირობა, რომ 1997 წლის 6 ივნისის №1/12/27 განჩინებით საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ განსახილველად არ მიიღო

მოქალაქეების: ნ. ახალკაცისა და დ. კვინიკაძის კონსტიტუციური სარჩელი «სპორტის შესახებ» კანონის ზოგიერთი მუხლის კონსტიტუციურობის თაობაზე.

სახალხო დამცველის შემთხვევაში, როგორც ვიცით, კონსტიტუციური სარჩელის შეტანა მხოლოდ უკვე დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების თაობაზე შეიძლება.

## ბ) დავის საგანთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვა

ფიზიკურმა და იურიდიულ პირებმა და სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მიმართონ მხოლოდ ნორმატიული აქტით უფლებების დარღვევის შემთხვევაში. ეს იმას ნიშნავს, რომ უფლების სავარაუდო დარღვევა უნდა გამოიწვიოს მაგალითად არა რომელიმე პირის უკანონო მოქმედებამ, არამედ აქტმა, რომელმაც თავის მხრივ შესაძლოა საფუძველი დაუდო ამგვარი უკანონო მოქმედების ჩადენას. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოში ვერ გავასაჩივრებთ პოლიციელის უკანონო მოქმედებას, თუმცა, შეიძლება მოვითხოვოთ «პოლიციის შესახებ» კანონის იმ მუხლის გაუქმება, რომელიც პოლიციელს ამგვარი ქმედების განხორციელების უფლებას აძლევს. აქ ლოგიკურად ჩნდება ნორმატიული აქტების განმარტების საჭიროება. პრაქტიკაში წარმოშობილ პრობლემათა გათვალისწინებით ჩვენ შედარებით დეტალურად შევჩერდებით მასზე.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ნორმატიული აქტი სამართლებრივი აქტების ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს. სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) შესასრულებლად სავალდებულო აქტი. ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. ნორმატიული აქტი შეიცავს ქცევის ზოგად წესს და პირთა ფართო წრეს ეხება.

სამართლებრივი აქტის მეორე სახეა ინდივიდუალური აქტი. იგი ერთჯერადაა და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. ინდივიდუალური აქტის ერთ-ერთი მახასიათებელი თვისებაა ისიც, რომ იგი პირთა შეზღუდულ (განსაზღვრულ) წრეზე ვრცელდება. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მიიღება (გამოიცემა) მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში (საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-2 მუხლი). ნორმატიული აქტისაგან განსხვავებით ინდივიდუალური აქტის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრება დაუშვებელია.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი ამომწურავად განსაზღვრავს საქართველოს ნორმატიული აქტების ნუსხას. ამ კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად საქართველოს ნორმატიული აქტებია:

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, კონსტიტუციური შეთანხმება, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, (გამონაკლისია ბრძანებულება საქართველოს მთავრობის წევრის - მინისტრის და საერთო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან განთავისუფლების, აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნის შესახებ), საქართველოს პარლამენტის დადგენილება (არანორმატიულია საქართველოს პარლამენტის მხოლოდ ის დადგენილება, რომელიც საკადრო და პერსონალურ საკითხებს ეხება), საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება, საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის დადგენილება, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება, აუდიტორული

საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის ბრძანება, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ბრძანება, საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის თავმჯდომარის ბრძანება, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარის ბრძანება, საზღვაო ადმინისტრაციის თავმჯდომარის ბრძანება, საქართველოს მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება.

აფსაზეთისა და აჭარის ნორმატიული აქტებია: ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება.

ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა და თანამდებობის პირთა ნორმატიული აქტებია: საკრებულოს გადაწყვეტილება, გამგეობის (მერიის, ქ. თბილისის მთავრობის) დადგენილება, გამგებლის (მერის) ბრძანება.

აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა ან სახალხო დამცველმა ორგანული კანონის 39-ე მუხლის საფუძველზე მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საჭიროა, უფლებების დარღვევა «ნორმატიული აქტების შესახებ» მე-4 მუხლში მითითებული ერთ-ერთი აქტიდან გამომდინარეობდეს. ანუ, მოსარჩელემ პირველ რიგში უნდა შეამოწმოს, თუ რომელ აქტს ასაჩივრებს საკონსტიტუციო სასამართლოში. თუ დარღვევა ერთ-ერთი ზემოაღნიშნული აქტიდან გამომდინარეობს, მაშინ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის პირობები, სხვა შემთხვევაში კი, შესაბამისმა პირმა უფლებების დასაცავად უნდა მიმართოს სხვა უწყებებს.

ქვევით გთავაზობთ აქტის ნორმატიულობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მიმოხილვას საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან

საკონსტიტუციო სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აქტის ნორმატიულობის შემოწმებას. მართალია, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი იძლევა ნორმატიული აქტების საკმაოდ გრძელ და სრულყოფილ ჩამონათვალს, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლო არ იფარგლება სადავო აქტის ზემოაღნიშნულ მუხლის ჩამონათვალში მოძიებით. ამას განაპირობებს ის, რომ არის შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური აქტის სათაურის მიღმა ნორმატიული აქტი იმალება. არის შემთხვევები, როდესაც სამართლებრივი აქტი მთლიანობაში ნორმატიულ ხასიათს ატარებს, მაგრამ მასში არსებული ცალკეული დებულებები ინდივიდუალური ხასიათისაა.

საკონსტიტუციო სასამართლო აქტის ნორმატიულობას ადგენს არა მხოლოდ ფორმალური ნიშნებით (ანუ არის თუ არა იგი მოხსენიებული «ნორმატიული აქტების შესახებ კანონის» მე-4 მუხლში), არამედ მისი შინაარსიდან და გამოყენების პრაქტიკიდან გამომდინარე. გარდა ამისა, იკვლევს სადავო აქტის მიღების, გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნების და ამოქმედების პროცედურას. მოსარჩელემ სარჩელსა თუ გამწესრიგებელ სხდომაზე სასამართლოს უნდა წარუდგინოს დასაბუთება სადავო აქტის ნორმატიულობასთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას აქტის ნორმატიულობასთან დაკავშირებით ორი დამატებითი კითხვა-პასუხის სახითაც წარმოგიდგინო:

*I. შეიძლება თუ არა, რომ აქტი მითითებული არ იყოს «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონით გათვალისწინებულ ჩამონათვალში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ნორმატიულ აქტად იქნას მიჩნეული?*

დიახ, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში აქტი ფორმალური თვალსაზრისით არ მიეკუთვნება ნორმატიული აქტების კატეგორიას (რადგანაც არ არის მითითებული «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის ჩამონათვალში), მაგრამ იგი მოწმდება შინაარსის თვალსაზრისით. აქტის ნორმატიულობის დადგენა შინაარსის გათვალისწინებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის ძალაში შესვლამდე (1997 წლის 1 თებერვალი) მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტების მიმართ. ამ კანონის მიღებამდე აქტები გამოიცემოდა ზოგადი, ყველა აქტისათვის საერთო წესების დაცვის გარეშე, არ არსებობდა საკანონმდებლო დონეზე ნორმატიული აქტების ჩამონათვალი, არ იყო განსაზღვრული აქტების იერარქია და ა.შ. ჯერ კიდევ მოქმედებს ბევრი ისეთი აქტი, რომელიც არ არის მითითებული «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის ჩამონათვალში, მაგრამ შინაარსის გათვალისწინებით შესაძლოა ნორმატიულად იქნას მიჩნეული. თუ გავითვალისწინებთ ამ აქტების სავარაუდო ნორმატიულობას და იმას, რომ ასეთად მათი აღიარების შემთხვევაში მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი მათი კონსტიტუციურობა შეამოწმოს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამ აქტთა ნორმატიულობის დადგენა. თანაც, ძალიან ხშირად სწორედ ეს აქტები ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ასეთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო ან თავად აფასებს აქტის სამართლებრივ ბუნებას, ან მიმართავს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად სწავლობს სამართლებრივი აქტის შინაარსს და ისე წყვეტს მისი ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების საკითხს.

ზევით ძირითადად ისეთ შემთხვევებზე იყო საუბარი, როცა აქტის ნორმატიულობა შესაძლოა დადგინდეს მისი შინაარსის გათვალისწინებით. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ეჭვს არ იწვევს აქტის ნორმატიულობა შინაარსის გათვალისწინებით, მაგრამ სასამართლო მაინც ადგენს, რომ იგი არანორმატიულია. ამ შემთხვევაში სასამართლო ძირითადად იმ არგუმენტს იყენებს, რომ აქტი არ არის გათვალისწინებული ნორმატიული აქტების შესახებ კანონის ჩამონათვალში ან დარღვეულია მისი მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების წესი.

მაგალითად მოვიყვანოთ ორ შემთხვევას საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან:

1) საქმე: «მოქალაქე ნ. ნებიერიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს წინააღმდეგ». 1997 წლის 15 აპრილის 1/10/25 განჩინებაში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992 წლის 29 აპრილის №14 დადგენილება «უღანაშაულობის პრეზუმციისა და ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის უფლების შესახებ» «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის შესაბამისად აღარ განეკუთვნება ნორმატიული აქტების კატეგორიას. ამის გათვალისწინებით საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე განსახილველად არ მიიღო (ჩვენ უკვე ვიცით, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას იხილავს მე-2 თავთან მიმართებით). მართალია, საკონსტიტუციო სასამართლომ უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება განსახილველად არ მიიღო, მაგრამ არანორმატიულად აღიარებით ფაქტობრივად გააუქმა ეს აქტი და სამართლებრივი საფუძველი გამოაცალა უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებების გამოყენებას საერთო სასამართლოების პრაქტიკაში. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს პრეცედენტის ძალა აქვთ. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების სამართლებრივი შედეგები ვრცელდება არა მხოლოდ პროცესის მონაწილე მხარეებზე, არამედ ამ სადავო აქტით რეგულირებულ ურთიერთობებში მონაწილე ყველა სუბიექტზე. ნებიერიძის სარჩელის იდენტურად (სამართლებრივი შედეგების ჩათვლით) გადაწყვედა მეორე საქმეც, რომელზეც ჩვენ ქვევით გვექნება საუბარი.

2) საქმე: «ნოდარ გრძელიშვილი, სიმონ გრძელიშვილი, ზურაბ ქედელიძე და ზურაბ კალანდარიშვილი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ». დავის საგანს წარმოადგენდა „იმ ქონების დაბრუნებაზე შუამდგომლობათა მიღებისა და განხილვის შეწყვეტის შესახებ, რომელიც ჩამორთმეულია 1933 წლამდე ჩათვლით“ საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1938 წლის 8 თებერვლის ცირკულარული წერილი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1997 წლის 8 ივლისის №2/8-48-54/1 განჩინებით ზემოაღნიშნული სადავო აქტიც არანორმატიულობის მოტივით არ მიიღო არსებითად განსახილველად (იგი ძირითადად ფორმალური ნიშნებით ვერ აკმაყოფილებდა ნორმატიული აქტებისთვის დადგენილ მოთხოვნებს. ასე მაგალითად, არ გააჩნდა ნორმატიული აქტის ფორმა, არ იყო გამოქვეყნებული სახელმწიფო ენაზე და ა.შ.). საკონსტიტუციო სასამართლოს ზედმოაღნიშნული განჩინებით საერთო სასამართლოებს მოესპოთ ცირკულარულ წერილზე დაყრდნობით სარჩელების განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საშუალება.

*II. შეიძლება თუ არა, რომ აქტი ფორმალურად ნორმატიული იყოს, მაგრამ ზოგიერთი მისი ნაწილი ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდეს და პირიქით?*

დიახ, ესეც შესაძლებელია. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლომ ჩათვალა, რომ ნორმატიული აქტის სადავო პუნქტი ინდივიდუალური იყო.

კონკრეტული მაგალითის სახით საინტერესოა მოვიყვანოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 17 თებერვლის №1/1/39 განჩინება დავის საგანზე: „ქალაქ წყალტუბოს მერიის დაქვემდებარების სოფლების ქვიტირისა და ფარცხანაყანევის ტერიტორიაზე გამავალ ქუთაისი-სამტრედიის ავტომაგისტრალზე ცალკეული ავტოგასამართი სადგურების მშენებლობა-ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქ. წყალტუბოს მერის 1996 წლის 17 მაისის №74-1 განკარგულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. აღნიშნულ საქმეზე მოპასუხე იყო ქ. წყალტუბოს მერია.

ამ საქმეში მოსარჩელე ითხოვდა სადავო აქტის არა მთლიანად, არამედ მხოლოდ ერთი პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობას და შესაბამისად, მის გაუქმებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ სადავო პუნქტის ნორმატიულობის საკითხის განხილვა-შეფასებით. დასაბუთებაში მან მიუთითა, რომ „ქალაქ წყალტუბოს მერიის დაქვემდებარების სოფლების ქვიტირისა და ფარცხანაყანევის ტერიტორიაზე გამავალ ქუთაისი-სამტრედიის ავტომაგისტრალზე ცალკეული ავტოგასამართი სადგურების მშენებლობა-ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქ. წყალტუბოს მერის 1996 წლის 17 მაისის №74-1 განკარგულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი არ შეიცავს მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს, ე.ი. არ ადგენს სამართლის ნორმას. იგი განკუთვნილია ერთჯერადი გამოყენებისათვის და მან განსაზღვრა კონკრეტული ურთიერთობა კონკრეტულ სუბიექტთან მიმართებაში. სადავო ნორმის არანორმატიულობის საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე არსებითად განსახილველად არ მიიღო.

## **გ) მოპასუხე**

მოპასუხე ბოლო საკითხია, რომელიც ორგანული კანონის 39-ე მუხლის ფარგლებში უნდა განვიხილოთ. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოპასუხეა ის ორგანო/თანამდებობის პირი, რომლის აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა.

ზემოაღნიშნული საშუალებას აძლევს მოსარჩელეს, რათა მან სწორად განსაზღვროს მოპასუხე მხარე. ე.ი. თუ მოსარჩელე კანონს ასაჩივრებს, მოპასუხეა საქართველოს პარლამენტი, თუ პრეზიდენტის ბრძანებულებას – საქართველოს პრეზიდენტი და ა.შ. სადავო აქტი ზოგჯერ საქართველოს კონსტიტუციის მიღებამდე მიღებული ან მის შემდგომ, მაგრამ მიმღები ორგანო აღარ არსებობს. ასეთ შემთხვევებში მოპასუხე იქნება აქტის გამომცემი ორგანოს სამართალმემკვიდრე. მაგალითად, მინისტრთა კაბინეტის აქტის კონსტიტუციურობის დადგენისას მოპასუხე იქნება საქართველოს პრეზიდენტი; საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის დადგენისას - ფინანსთა სამინისტრო, როგორც საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს სამართალმემკვიდრე და სხვა.

## II. კონსტიტუციური სარჩელი

როგორც ზევით აღვნიშნეთ, კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ერთ-ერთი ფორმაა. აქედანვე იწყება საკონსტიტუციო სამართალწარმოება. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 და საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 25-ე მუხლები განსაზღვრავენ კონსტიტუციური სარჩელის სტრუქტურას, კერძოდ კი იმას, თუ რა უნდა იყოს მითითებული კონსტიტუციურ სარჩელში და როგორი თანმიმდევრობით:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება;
- მოსარჩელისა და მოპასუხის დასახელება და მისამართები;
- სადავო სამართლებრივი აქტის დასახელება, მისი მიმღების/გამომცემის დასახელება და მიღების/გამოცემის თარიღი;
- საქართველოს კონსტიტუციის დებულებანი, რომლებსაც, მოსარჩელის აზრით არ შეესაბამება ან არღვევს სადავო აქტი;
- მტკიცებულებანი, რომლებიც მოსარჩელის აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობას;
- მოთხოვნის არსი;
- საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის დებულებანი, რომლებიც მოსარჩელეს აძლევს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებას;
- კონსტიტუციურ სარჩელზე დართული საბუთების ჩამონათვალი, აგრეთვე იმ პირთა სია და მისამართები, რომლებიც მოსარჩელის აზრით უნდა გამოიძახოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ.

აღნიშნულ კონსტიტუციურ სარჩელს თან უნდა ერთვოდეს:

- სადავო სამართლებრივი აქტის ტექსტი;
- მოსარჩელის წარმომადგენელთა და ინტერესების დამცველთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი მათი მისამართების მითითებით;
- საბანკო დაწესებულების საბუთი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ;

- თხოვნა განმწესრიგებელ სხდომაზე მოწვევის და თარჯიმანის (საჭიროების შემთხვევაში) დანიშვნის შესახებ (მხარეს უფლება აქვს ეს მოთხოვნები მოგვიანებითაც დასვას საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე).

ქვევით შევეცდებით კონსტიტუციური სარჩელთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების მიმოხილვას ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული თანამიმდევრობით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს  
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის ქ. №29

## კონსტიტუციური სარჩელი

მოსარჩელე/მოსარჩელები:

მისამართი:

მოპასუხე/მოპასუხეები:

მისამართი:

სადავო აქტი/აქტები :

სადავო აქტით დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის შემდეგი მუხლები:

ამის შემდეგ იწყება კონსტიტუციური სარჩელის ძირითადი ნაწილი, რომელიც აუცილებლად დასაბუთებული უნდა იყოს. ამ მიზნით კონსტიტუციური სარჩელის შედგენისას მოსარჩელემ პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს ყველა ის სამართლებრივი ნიუანსი, რომელიც ორგანული კანონის 39-ე მუხლთან დაკავშირებით განვიხილეთ. მათგან ზოგიერთს ჩვენ ისევ მივუბრუნდებით. ასე მაგალითად, თუ საეჭვოა სადავო აქტის ნორმატიულობა, მოსარჩელემ უნდა მოიტანოს კონკრეტული არგუმენტები, რის საფუძველზეც შესაძლებელია ამ აქტის ნორმატიულად მიჩნევა. მოსარჩელემ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს იმის დასაბუთებას, თუ როგორ შეეხო ან შეეხება მას სადავო აქტი. აქ საჭირო გახდება იმის დასაბუთება, რომ სადავო უფლება არამოქალაქეებსა ან იურიდიულ პირებსაც შეიძლება ეხებოდეთ და ა.შ. როგორც წესი, ამ შემთხვევაში მოსარჩელე უთითებს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე და სასამართლოს წარუდგენს შესაბამის დოკუმენტაციას (ასეთი დოკუმენტები როგორც წესი, ადასტურებს ამა თუ იმ ქონებაზე საკუთრებას ან მემკვიდრეობის მიღებას, რომელიმე აქტიდან გამომდინარე კონკრეტული უფლების დარღვევას და ა.შ.). როგორც წესი, მხოლოდ სადავო აქტის შემხებლობის დადგენისას ხდება ამგვარი გარემოებების შესწავლა-შეფასება.

სარჩელში დეტალურად უნდა იყოს მოცემული, თუ რატომ მიაჩნია მოსარჩელეს, რომ სადავო აქტით დარღვეულია ან შესაძლებელია დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი. მოსარჩელემ უნდა მიუთითოს მტკიცებულებანი, რომლებიც მისი აზრით, ადასტურებენ კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობას. ამ საკითხებზე მსჯელობისას კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული, თუ რატომ ეწინააღმდეგება სადავო აქტი ან მისი ნაწილი საქართველოს კონსტიტუციის ამა თუ იმ მუხლს. მოსარჩელე უნდა შეეცადოს, დაამტკიცოს აქტის არაკონსტიტუციურობა კონსტიტუციის მე-2 თავის მუხლების მიმართ, რაც არსებითად განაპირობებს სადავო აქტის

არაკონსტიტუციურად ცნობას, ანუ მიაღწევს თუ არა მოსარჩელე მიზანს. კონსტიტუციური სარჩელის ეს ნაწილი თითქმის მთლიანად სამართლებრივ არგუმენტებზეა აგებული და როგორც წესი, ნაკლებად ეხება ფაქტობრივ გარემოებებს.

კონსტიტუციური სარჩელის ამ ნაწილში მოსარჩელებს არგუმენტად ხშირად მოჰყავთ კონსტიტუციის სხვა თავის მუხლებიც. მოსარჩელეს თავისუფლად შეუძლია ამ მუხლების გამოყენება, ოღონდ მოთხოვნის არსის ჩამოყალიბებისას (ეს სარჩელის ის ნაწილია, როცა მოსარჩელე საკონსტიტუციო სასამართლოს განუსაზღვრავს მოთხოვნის სახეს და მოცულობას) უნდა მიუთითოს, რომ სადავო აქტის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს მე-2 თავის შესაბამის მუხლებთან მიმართებით. მაგალითად, თუ მოსარჩელეს 21-ე მუხლთან ერთად კონსტიტუციის 84-ე მუხლის გამოყენებაც დასჭირდა (კონსტიტუციის მე-2 თავი როგორც გვახსოვს მე-12-47-ე მუხლებს მოიცავს), მოთხოვნის არსში უნდა მიუთითოს, რომ სადავო აქტის არაკონსტიტუციურად ცნობას 21-ე მუხლთან მიმართებით ითხოვს (არაკონსტიტუციურად ცნობა იწვევს სადავო აქტის გაუქმებას. მოსარჩელემ მოთხოვნის არსი შემდეგნაირად უნდა ჩამოაყალიბოს : «გთხოვთ, ... კანონის ... მუხლი არაკონსტიტუციურად ცნოთ საქართველოს კონსტიტუციის ... მუხლთან (მუხლებთან) მიმართებით).

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ო. ზოიძის კონსტიტუციური სარჩელი (1997 წლის 20 თებერვალი №1/3-21), სადაც მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სადავო აქტი: „მაგნე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადის დაწესებისა და გადახდის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 22 ოქტომბრის №1010 დადგენილება და ამავე დადგენილებით დამტკიცებული „მაგნე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადის დაწესებისა და გადახდის წესის შესახებ“ დროებითი დებულება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმადაც: „სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა წესით“. კონსტიტუციური სარჩელში კონსტიტუციის 94-ე მუხლის დაკავშირება მოხდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ ნაწილთან და 39-ე მუხლებთან. მოსარჩელე მხარე აღნიშნავდა, რომ სავალდებულოა მხოლოდ კანონით განსაზღვრული გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა, კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით. იქედან გამომდინარე, რომ სადავო აქტები არ წარმოადგენენ კანონებს, მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სადავო აქტით შემოღებული გადასახადი არღვევდა მისი, როგორც საქართველოს მოქალაქის საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და 39-ე მუხლებით აღიარებულ უფლებებს. იგი თვლიდა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკუთრების აღიარება თავისთავად გულისხმობს მის დაცვას უკანონო ხელყოფისაგან. არაკონსტიტუციური გადასახადების არსებობა კი, მისი აზრით, ხელყოფდა საკუთრების ხელშეუვალობას. კონსტიტუციის 39-ე მუხლს მოსარჩელე 21-ე მუხლის შესავსებად იყენებდა. მოსარჩელემ სადავო აქტების არაკონსტიტუციურად ცნობა კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 39 მუხლის მიმართ მოითხოვა (საკონსტიტუციო სასამართლომ ეს აქტები კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გააუქმა).

კონსტიტუციურ სარჩელში მკაფიოდ უნდა დაფიქსირდეს მოთხოვნის არსთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც. კერძოდ, მოსარჩელე სადავო აქტის არაკონსტიტუციურად ცნობას მთლიანად ითხოვს, თუ ნაწილობრივ. მოსარჩელეს უნდა ახსოვდეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნული მოთხოვნის მოცულობით. რაც იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან

შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას. ანუ, მაშინაც კი, როცა სადავო აქტის რომელიმე ერთი ნორმაა გასაჩივრებული და სასამართლო ამავე ნორმატიული აქტის სხვა ნორმების კონსტიტუციურობასაც სადაოდ მიიჩნევს, ამ უკანასკნელს უფლება არა აქვს საკუთარი ინიციატივით იმსჯელოს ყველა მათგანზე.

თუ მოსარჩელე სადავო აქტის ცალკეული ნორმების გაუქმებას ითხოვს, კონკრეტულად უნდა მიეთითოს, რომელი სადავო ნორმა კონსტიტუციის რომელ მუხლს (მუხლებს) არღვევს. მოსარჩელეს შეუძლია ატკიცოს და შესაბამისად, მოითხოვოს სადავო აქტის (აქტების) და ნორმის( ნორმების) არაკონსტიტუციურობა კონსტიტუციის რამდენიმე მუხლის მიმართ. შესაძლებელია ისიც, რომ ერთი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა კონსტიტუციის ერთი, ხოლო ამავე აქტის მეორე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა კონსტიტუციის სხვა მუხლის (მუხლების) მიმართ მოითხოვოს. მოსარჩელეს უფლება აქვს ერთი კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში რამდენიმე ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი გაასაჩივროს. მთავარია, რომ ეს აქტები სადავო საკითხთან იყოს კავშირში. მოსარჩელეს უფლება აქვს გაასაჩივროს ნორმატიული აქტის პუნქტი, ქვეპუნქტი, აბზაცი, წინადადება, სიტყვა. მოსარჩელეს უნდა ახსოვდეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის მხოლოდ სადავო აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა, ამიტომაც მოთხოვნის არსის ჩამოყალიბებისას ეს ნათლად უნდა იყოს აღნიშნული. მოსარჩელემ სასამართლოს არ უნდა სთხოვოს საკუთრების დაბრუნება, გზის გაყვანა, თანხის ანაზღაურება თუ სხვა, რაც საერთო სასამართლოში საქმის განხილვისათვის არის დამახასიათებელი.

ნებისმიერი სარჩელის შეტანისას მნიშვნელოვანია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლოს კანონმდებლობა მხოლოდ ერთი სახის სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებას იცნობს. კერძოდ, თუ მოსარჩელე მხარეს მიაჩნია, რომ სადავო აქტის (მისი ნაწილის) მოქმედებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზარალი მიაყენოს (გაითვალისწინეთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემთხვევაში, საქმის განხილვისათვის დაწესებულია 6 თვიანი ვადა და განსაკუთრებულ შემთხვევებში მისი გაგრძელებაც კი შესაძლებელია), მაშინ მას უფლება აქვს განმწესრიგებულ სხდომაზე მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს საქმის სრულ გადაწყვეტამდე სადავო აქტის (ან მისი ნაწილის) მოქმედების შეჩერება. მოსარჩელე მხარის მიერ დასაბუთებული არგუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში (რაც გამოიხატება იმის დასაბუთებაში, თუ რა ზარალი შეიძლება მოუტანოს სადავო აქტის მოქმედებამ მოსარჩელეს), საკონსტიტუციო სასამართლო შეაჩერებს სადავო აქტის (მისი ნაწილის) მოქმედებას ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ზემოაღნიშნული შუამდგომლობის დასმა მოსარჩელე მხარეს შეუძლია არსებითად განხილვის სხდომაზეც, მაგრამ უმჯობესია, თუ მოსარჩელე მხარე განმწესრიგებულ სხდომამდე შეაფასებს სადავო აქტის (მისი ნაწილის) მოქმედების შემთხვევაში მოსალოდნელ ზარალს და სარჩელშივე მოითხოვს მის შეჩერებას, ვინაიდან მოსალოდნელი ზარალის ალბათობა, დროის ფაქტორის გათვალისწინებით, უფრო მეტია განმწესრიგებელი სხდომიდან საქმის სრულ გადაწყვეტამდე, ვიდრე არსებითად განხილვის სხდომიდან მის სრულ დამთავრებამდე (ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

კონსტიტუციური სარჩელის შეტანის საფუძვლად უნდა მიეთითოს: საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი და 89-ე მუხლის პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის

მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე)“ ქვეპუნქტი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ან ბ) ქვეპუნქტი (შესაბამისი სუბიექტების გათვალისწინებით) და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, მე-10 მუხლი, მე-15 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, მე-16 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 25-ე მუხლი.

კონსტიტუციურ სარჩელს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები :

1. სადავო სამართლებრივი აქტის ტექსტი (თუ ის დიდი მოცულობისაა, შეიძლება დაურთოთ მხოლოდ გასაჩივრებული ნაწილები);
2. მოსარჩელის წარმომადგენელთა და ინტერესების დამცველთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი მათი მისამართების მითითებით (წარმომადგენლის რწმუნებულება უნდა დამოწმდეს სანოტარო ან შესაბამისი დაწესებულებისთვის დადგენილი წესით);
3. საბანკო დაწესებულების საბუთი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ ((ფიზიკური პირის/პირების მიერ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელზე გადაიხდება 10 ლარი, ხოლო სხვა პირების მიერ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელზე - 55 ლარი (“სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონი) საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გაზრდის ან შემცირების უფლება).
4. მოსარჩელის ან მისი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება განმწესრიგებელ სხდომაზე დასწრების შესახებ. (მართალია, ეს ნებაყოფლობითია, მაგრამ ჩვენ ვურჩევთ მოსარჩელეებს, ყოველთვის მოითხოვონ განმწესრიგებელ სხდომაზე დასწრება. ხშირ შემთხვევაში მოსარჩელეების (ან მათი წარმომადგენლების) მონაწილეობა განაპირობებს სარჩელის განსახილველად მიღებას;
5. განცხადება თარჯიმანის მოთხოვნის შესახებ, თუ პირი არ ფლობს სამართალწარმოების ენას.
6. კონსტიტუციურ სარჩელს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტაცია:
7. იმ პირთა სია, რომლებიც მოსარჩელის აზრით უნდა გამოიძახოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ:

1. სახელი გვარი, მისამართი, სამუშაო ადგილი, პროფესია, სამეცნიერო ხარისხი (სპეციალისტის/ ექსპერტის სახით);
2. სახელი გვარი, მისამართი, სამუშაო ადგილი, პროფესია, სამეცნიერო ხარისხი (სპეციალისტის/ექსპერტის სახით);
1. სახელი გვარი, მისამართი (მოწმის სახით);
2. სახელი გვარი, მისამართი (მოწმის სახით).

მოსარჩელის ხელის მოწერა  
(როგორც წესი, სარჩელს ხელს აწერს მოსარჩელე, მიუხედავად იმისა, ჰყავს თუ არა მას წარმომადგენელი საკონსტიტუციო სასამართლოში)

### III. კონსტიტუციური სარჩელის შეტანა საკონსტიტუციო სასამართლოში

კონსტიტუციური სარჩელის მომზადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტების სრულყოფილად შეგროვების შემდეგ მოსარჩელეს კონსტიტუციური სარჩელი შეაქვს

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების სექტორში (მის. ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №29). მოსარჩელეს უფლება აქვს, რომ სარჩელი ფოსტის მეშვეობითაც გააგზავნოს. პირველი ეტაპი, რასაც კონსტიტუციური სარჩელი გაივლის საკონსტიტუციო სასამართლოში, არის **რეგისტრაცია**. კონსტიტუციური სარჩელი რეგისტრაციაში ტარდება საკონსტიტუციო სასამართლოს ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების სექტორში (მისაღები). საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილი თანამშრომელი კონსტიტუციურ სარჩელს ამოწმებს ფორმალური (და არა შინაარსობრივი) თვალსაზრისით (ფორმალურ მხარედ ითვლება იმის შემოწმება, ახლავს თუ არა კონსტიტუციურ სარჩელს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი; შინაარსობრივ მხარეში იგულისხმება კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულობა) და უზუსტობების არარსებობის შემთხვევაში რეგისტრაციაში ატარებს მას. არაარსებითი, ფორმალური ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელი რეგისტრაციაში ტარდება საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის თანხმობით და მოსარჩელეს ან მის/მათ წარმომადგენელს ეძლევა სამი დღე უზუსტობის გამოსასწორებლად. დამკვიდრებული პრაქტიკით არაარსებით ხარვეზად ითვლება, როცა სარჩელზე არ არის დართული სადავო აქტის ტექსტი, წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი ან სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი; ან კონსტიტუციურ სარჩელში სრულყოფილად არ არის მითითებული მოსარჩელის ან მოპასუხის მონაცემები. თუ ამ ვადაში უზუსტობა არ გამოსწორდა, სარჩელის რეგისტრაცია უქმდება. ზემოაღნიშნულისაგან განსხვავდება რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევა, როცა მოსარჩელეს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს რეგისტრაციის საკითხის გადასაწყვეტად 3 დღის ვადაში მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანს. საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი 3 დღეში იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი დადებითად გადაწყვეტს ამ საკითხს, საკონსტიტუციო სასამართლოს მისაღები რეგისტრაციაში გაატარებს კონსტიტუციურ სარჩელს (სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-17 მუხლი და რეგლამენტის 25-ე მუხლი)<sup>1</sup>.

#### **IV. საკონსტიტუციო სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომა**

კონსტიტუციური სარჩელი რეგისტრაციის შემდეგ დაუყოვნებლივ წარედგინება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც 3 დღის ვადაში გადასცემს მას ერთ-ერთ კოლეგიას არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად. კოლეგიის თავმჯდომარე ნიშნავს განმწესრიგებელი სხდომის თარიღსა და მომხსენებელ მოსამართლეს. როგორც ვიცით, სწორედ განმწესრიგებელ სხდომაზე წყდება კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღების ან განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია ვალდებულია 7 დღის ვადაში გადაწყვიტოს ეს საკითხი (საკონსტიტუციო სასამართლოში ვადების გამოთვლისას არ ჩაითვლება შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული უქმე და დასვენების დღეები). საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია ამ ვადაში ატარებს განმწესრიგებელ სხდომას, მაგრამ როგორც წესი, გადაწყვეტილებას მოგვიანებით აცხადებს. მიღებული

<sup>1</sup> საკონსტიტუციო სასამართალწარმოების სტადიები შესაბამისი ვადების მითითებით სქემის სახით მოცემულია №1 დანართში.

გადაწყვეტილების გამოცხადების ვადა კანონმდებლობით დადგენილი არ არის, ამიტომაც საკონსტიტუციო სასამართლო საქმის სირთულიდან გამომდინარე განსაზღვრავს მის ხანგრძლივობას. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია უფლებამოსილია განიხილოს კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღების საკითხი, თუ მის სხდომას ესწრება არანაკლებ სამი წევრისა.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული ფართო უფლებამოსილებები როგორც განმწესრიგებელ, ისე არსებითი განხილვის სტადიაზე. ყველა სახელმწიფო ორგანო, იურიდიული და ფიზიკური პირი, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებულია შეასრულოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და მის წევრთა მიერ საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომლებიც მათი უფლებამოსილებიდან წარმოდგება.

საკონსტიტუციო სასამართლო და მისი წევრები უფლებამოსილი არიან საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებით მიიღონ ინფორმაცია ყველა სახელმწიფო ორგანოს, იურიდიული და ფიზიკური პირის, სამეცნიერო დაწესებულებისა და საიფორმაციო ცენტრისაგან, რეგლამენტის შესაბამისად მოიწვიონ სპეციალისტები საქსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა შესასრულებლად. ყოველივე ზემოაღნიშნული მოსარჩელის სასარგებლოდ არის მიმართული, ვინაიდან სასამართლოს საკუთარი ინიციატივით ან მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია გამოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია ზემოთ ჩამოთვლილი ორგანოებიდან საქმის სრულყოფილად შესწავლისა და სწორად გადაწყვეტის მიზნით. ეს გარკვეულწილად უმსუბუქებს მოსარჩელეს მდგომარეობას მისთვის ძნელად მოპოვებადი ინფორმაციის მოძიებაში (ორგანული კანონის 24-ე მუხლი).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია უფლებამოსილია, ზოლო მოსარჩელის ან მისი წარმომადგენლის წერილობითი განცხადების საფუძველზე ვალდებულია განმწესრიგებელ სხდომაზე მოიწვიოს მოსარჩელე, მისი წარმომადგენელი და ინტერესების დამცველი და მოისმინოს მათი განმარტებები. საკონსტიტუციო სასამართლოს კანცელარია ზემოაღნიშნულ პირებს განმწესრიგებელი სხდომის დანიშნვის შესახებ შეატყობინებს სხდომის დანიშნიდან 2 დღის ვადაში.

განმწესრიგებელი სხდომის არსის უკეთ წარმოსაჩენად მიზანშეწონილია სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-18 მუხლის განხილვა. ამ მუხლის მიხედვით კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება თუ:

- ა. ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;
- ბ. შეტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის მიერ);
- გ. კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული არც ერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი;
- დ. კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ;
- ე. მასში მითითებული არც ერთი სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით;
- ვ. არასაპატიო მიზეზით დარღვეულია კონსტიტუციური სარჩელის შეტანის კანონით დადგენილი ვადა.

სარჩელის განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტიას საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია სამართალწარმოების კანონის მე-18 მუხლით (როგორც ვიცით, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს განმწესრიგებელ სხდომაზე განიხილოს საკითხი იმის შესახებ, ეწინააღმდეგება თუ არა გასაჩივრებული აქტი კონსტიტუციას). საკმარისია ერთ-ერთი ამ საფუძვლის არსებობა, რომ სარჩელი განსახილველად არ მიიღება. და პირიქით, თუკი რომელიმე ეს პირობა არ არსებობს, კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად მიიღება.

განმწესრიგებელ სხდომასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა მხოლოდ სამართალწარმოების კანონის მე-18 მუხლს უკავშირდება. ამაში იგულისხმება არა მხოლოდ განმწესრიგებელი სხდომის, არამედ მისი მომზადების ეტაპიც, როცა მომხსენებელი მოსამართლე ამოწმებს კონსტიტუციური სარჩელს და საჭიროების შემთხვევაში მხარესთან აზუსტებს საქმესთან დაკავშირებულ საკითხებს. განმწესრიგებელი სხდომა არსებითი განხილვისაგან განსხვავებით გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ამ დროს სასამართლო განხილვაში არასდროს მონაწილეობს მოპასუხე, შესაბამისად, პროცესი მხარეთა შეჯიბრებითობის გარეშე მიმდინარეობს, არ არიან მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები, და როგორც სასამართლოს შეკითხვები, ისე მოსარჩელის განმარტება, სამართალწარმოების კანონის მე-18 მუხლის ირგვლივ მიმდინარეობს.

კიდევ ერთხელ გადავხედოთ ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნებს პუნქტობრივად:

ა) ჩვენ უკვე ვიცით, როგორ უნდა დაიწეროს კონსტიტუციური სარჩელი. თუკი კონსტიტუციური სარჩელი ამ მოთხოვნებს არ პასუხობს, იგი განსახილველად არ მიიღება;

ბ) ჩვენს შემთხვევაში იგულისხმება ორგანული კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სუბიექტები და კომპეტენცია. ანუ, ფიზიკური/იურიდიული პირები და სახალხო დამცველი, რომელთაც გააჩნიათ კონსტიტუციის მე-2 თავთან დაკავშირებით კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება.

გ) აქ კვლავ იგულისხმება ორგანული კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებული საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია. იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელეს რამდენიმე მოთხოვნა აქვს დასმული კონსტიტუციურ სარჩელში, სასამართლო ამოწმებს, რომელი მათგანის განხილვა შეუძლია ორგანული კანონის 39-ე მუხლიდან გამომდინარე. მაგალითად თუ სარჩელში მოცემულია ორი მოთხოვნა: ა) ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა კონსტიტუციის მე-2 თავთან მიმართებით და ბ) არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობა, საკონსტიტუციო სასამართლო განსახილველად მიიღებს მხოლოდ პირველ სასარჩელო მოთხოვნას. „ა“ მოთხოვნის ნაცვლად რომ ყოფილიყო პრეზიდენტის ქმედების კონსტიტუციურობის შემოწმება, საკონსტიტუციო სასამართლო არც ერთ მათგანს არ მიიღებდა განსახილველად, ვინაიდან მართალია, ეს ორივე კომპეტენცია საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის, მაგრამ ფიზიკურ პირს მათი გასაჩივრების უფლება არა აქვს.

დ) ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელში დასმულ ყველა სადავო საკითხზე უკვე აქვს მიღებული გადაწყვეტილება და არა აქვს მნიშვნელობა ვის მიერ იყო ეს აქტები გასაჩივრებული. თუკი მოსარჩელეს რამდენიმე მოთხოვნა აქვს, სასამართლო მხოლოდ იმათ მიიღებს განსახილველად, რომელზეც გადაწყვეტილება მანამდე არ მიუღია.

ე) უნდა გვახსოვდეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს აქტის შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციასთან. ე.ი. მოსარჩელემ უნდა მიუთითოს კონსტიტუციის კონკრეტული მუხლი, რაც, მისი აზრით, სადავო აქტით არის დარღვეული.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ საკითხი გადაწყვეტილი არ არის საქართველოს კონსტიტუციით. მოსარჩელის საყურადღებოდ ვიტყვით, რომ იმ შემთხვევაში, თუ გართულებულია კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის მოძებნა, გირჩევთ გადახედოთ კონსტიტუციის 39-ე მუხლს, რომელიც ზოგადია და იძლევა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

ვ) ამ შემთხვევაში იგულისხმება ორგანული კანონის ის მუხლები, რომლებიც ზოგიერთი კონსტიტუციური სარჩელის წარსადგენად სპეციალურ ვადებს ითვალისწინებს. ასეთია მაგალითად არჩევნების ან რეფერენდუმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული დავები. ორგანული კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისთვის ვადები დადგენილი არ არის, ანუ პირს ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენთვის საინტერესო სუბიექტებს სამართალწარმოების კანონის მე-18 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი არ ეხებათ და მათ ამ საფუძველზე კონსტიტუციური სარჩელის მიღებაზე უარს ვერ ეტყვიან.

აქ კიდევ ერთხელ გავაფრთხილებთ მოსარჩელეს, რომ კონსტიტუციური სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თავიდან ასაცილებლად კონსტიტუციური სარჩელის ავტორმა სრულად უნდა გაითვალისწინოს კონსტიტუციურ სარჩელის შედგენასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსი.

განმწესრიგებელი სხდომის შედეგად ერთ-ერთი შემდეგი აქტი იქმნება: საოქმო ჩანაწერი და განჩინება.

საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებას აფორმებს საოქმო ჩანაწერით, ხოლო არსებითად განსახილველად მიუღებლობას - განჩინებით. ანუ, საკონსტიტუციო სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის საოქმო ჩანაწერის ხსენებისას უნდა ვიცოდეთ, რომ სასამართლოს პასუხი დადებითია, ხოლო განჩინებისას - უარყოფითი. საინტერესოა შემთხვევა, როდესაც კონსტიტუციური სარჩელის მხოლოდ ნაწილი მიიღება არსებითად განსახილველად. აუცილებლად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე ამ ნაწილში. ასე მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს ერთი კოლეგია საოქმო ჩანაწერის სამოტივაციო ნაწილში (სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, ანუ სასამართლოს დასაბუთება, თუ რატომ იღებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას) აღნიშნავს სადავო აქტის რა ნაწილი არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად, ხოლო სარეზოლუციო ნაწილში (სასამართლოს გამოტანილი გადაწყვეტილებები) კი მიუთითებს სადავო ნორმის რომელი ნაწილი იქნა მიღებული არსებითად განსახილველად. მეორე კოლეგია კი კონსტიტუციური სარჩელის ნაწილის როგორც მიღების, ისე მიუღებლობის შესახებ აღნიშნავს აკეთებს სარეზოლუციო ნაწილში. აღნიშნული საკითხი არც საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობით და არც საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით მოწესრიგებული არ არის. ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ მოსარჩელე მხარე გულდასმით წაიკითხავს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერის როგორც სამოტივაციო ისე მის სარეზოლუციო ნაწილს, რათა ზუსტად დაადგინოს, თუ რა მოცულობით განხილავს საკონსტიტუციო სასამართლო მის მიერ შეტანილ სარჩელს.

## V. საოქმო ჩანაწერი

კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ საოქმო ჩანაწერში აღინიშნება:

- საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;
- საოქმო ჩანაწერის შედგენის დრო და ადგილი;
- საქმის განხილვის მონაწილენი და დავის საგანი;
- საკითხი, რომელზედაც შედგენილია საოქმო ჩანაწერი;
- საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ამ კანონის ნორმები, რომელთა საფუძველზედაც საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიამ განსახილველად მიიღო კონსტიტუციური სარჩელი;
- აღნიშვნა კონსტიტუციური სარჩელის მიღების შესახებ;
- საქმის განხილვის დაწყების სავარაუდო ვადა (საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელი სხდომის საოქმო ჩანაწერში არსებითი განხილვის დაწყების სავარაუდო დღეს მიუთითებს. ამ თარიღის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს საქმის განხილვის საერთო ვადებს, რის შესახებაც ჩვენ ქვევით გვექნება საუბარი).

(სამართალწარმოების შესახებ კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი).

## VI. განჩინება

კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიუღებლობის შესახებ განჩინებაში აღინიშნება:

- საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა ;
- განჩინების გამოტანის დრო და ადგილი;
- საქმის განხილვის მონაწილენი და დავის საგანი;
- საკითხი, რომელზედაც გამოტანილია განჩინება;
- საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ამ კანონის ნორმები, რომელთა საფუძველზედაც საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიამ განსახილველად არ მიიღო კონსტიტუციური სარჩელი;
- აღნიშვნა კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიუღებლობის შესახებ.

(სამართალწარმოების შესახებ კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიუღებლობის თაობაზე საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება (ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-8 პუნქტი). ლოგიკურად ისმება კითხვა, შესაძლებელია თუ არა ხელმეორედ შევიტანოთ კონსტიტუციური სარჩელი ამავე საკითხზე და მიიღებს თუ არა მას საკონსტიტუციო სასამართლო განსახილველად?

სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-18 მუხლის „გ“-„ვ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველით კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიუღებლობა გამორიცხავს იმავე საგანზე და იმავე საფუძველით განმეორებით კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღებას.“ ზემოაღნიშნული გულისხმობს, რომ მხოლოდ შემდეგ 2 შემთხვევაშია შესაძლებელი სარჩელის ხელახლა წარდგენა და მისი განსახილველად მიღება:

1) თუ კონსტიტუციური სარჩელის მიღებაზე უარი გითხრეს იმ მოტივით, რომ სარჩელი ფორმით და შინაარსით არ შეესაბამებოდა სამართალწარმოების შესახებ კანონის მოთხოვნებს და 2) თუ კონსტიტუციური სარჩელის მიღებაზე უარი გითხრეს იმ მოტივით, რომ სარჩელი შეტანილი არ იყო უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის მიერ). ამ უკანასკნელ შემთხვევაში უფრო რთული პრობლემების გადალახვა მოუწევს მოსარჩელეს. კერძოდ, მან უნდა დაასაბუთოს, თუ რა ახალი გარემოებები ადასტურებს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მისი მიმართვის უფლებას (კერძოდ, ორგანული კანონის 39-ე მუხლთან შემხებლობას). მოსარჩელეს ვურჩევთ გამოიყენოს საკონსტიტუციო სასამართლოს ის განჩინება (განსაკუთრებით სარჩელის განსახილველად მიუღებლობის საფუძვლები), რომლითაც მისი სარჩელი არ მიიღეს განსახილველად. ვფიქრობთ, ეს დოკუმენტი თავად უბიძგებს მოსარჩელეს ახალი მოტივაციისაკენ.

## VII. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი

საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი არიან :

ა. მხარეები – პირები და ორგანიზაციები, რომლებიც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად ითვლებიან მოსარჩელეებად და მოპასუხეებად. ჩვენს შემთხვევაში მოსარჩელეა ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტი, ხოლო მოპასუხე - შესაბამისი აქტის გამომცემი ორგანო.

ბ. მხარეთა წარმომადგენლები – ნდობით აღჭურვილი პირები, რომელთათვისაც მხარეებს კანონით დადგენილი წესით გადაცემული აქვთ თავიანთი უფლებამოსილება. საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლის დანიშვნა სავალდებულოა, თუ კონსტიტუციური სარჩელის შემტან პირთა რაოდენობა ორზე მეტია. წარმომადგენლის რწმუნებულება უნდა დამოწმდეს სანოტარო ან შესაბამისი დაწესებულებისათვის დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში იგულისხმება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლით დადგენილი მინდობილობის გაფორმების წესი.

გ. მხარეთა ინტერესების დამცველნი – ადვოკატები და უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირები, რომლებიც სამართალწარმოებაში მონაწილეობენ მხოლოდ მხარეებთან ან მათ წარმომადგენლებთან ერთად. მათი დანიშვნის უფლება აქვთ როგორც მხარეებს ისე მათ წარმომადგენელს. (სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-12 მუხლი).

## VIII. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეთა

### უფლება-მოვალეობანი

სამართლის სხვა დარგების მსგავსად საკონსტიტუციო სამართალწარმოებაშიც ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი მხარეთა საპროცესო უფლებამოსილებას უჭირავს. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეების უფლება-მოვალეობანი ძირითადად ემთხვევა საპროცესო კანონმდებლობაში ზოგადად აღიარებულ უფლებებსა და მოვალეობებს, მაგრამ გარკვეული თავისებურებებითაც ხასიათდება. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეებს თანაბარი უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ მათგან ამონაწერები, გადაიღონ ასლები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში,

წარმოადგინონ მტკიცებულებანი, დაუსვან კითხვები ერთმანეთს, მოწმეებს, ექსპერტებს და სპეციალისტებს, მიმართონ შუამდგომლობით საკონსტიტუციო სასამართლოს, მისცენ მას ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტებები, წარმოადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები სასამართლო განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გამოვიდნენ დასკვნითი სიტყვებით (სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-13 მუხლი).

მხარეებს უფლება აქვთ საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე თავიანთი ინტერესების დაცვა მიანდონ ადვოკატს ან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სხვა პირს (მხარეთა ინტერესების დამცველები) ან თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება მიანდონ ნდობით აღჭურვილ პირს – წარმომადგენელს. საკონსტიტუციო სამართალწარმოების გასაადვილებლად წარმომადგენლის დანიშვნა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელეთა რაოდენობა ორზე მეტია. გაფორმებულ მინდობილობაში ზუსტად უნდა მიეთითოს, რომ ამა თუ იმ პირს ეკისრება საკონსტიტუციო სასამართლოში მხარის წარმომადგენლობა, აგრეთვე მინიჭებულ უფლებამოსილებათა მოცულობა. წარმომადგენელსა და მხარეთა ინტერესების დამცველებს შორის განსხვავება იმაში გამოიხატება, რომ წარმომადგენელს მხარის მონაწილეობის გარეშე შეუძლია სამართალწარმოებაში მონაწილეობა, მაშინ როცა მხარეთა ინტერესების დამცველები სამართალწარმოებაში მხოლოდ მხარეებთან ან მათ წარმომადგენლებთან ერთად გამოდიან. როგორც წესი, საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ძირითადად მხარეები ან წარმომადგენლები მონაწილეობენ.

მოსარჩელეს უფლება აქვს შეცვალოს თავდაპირველი მოთხოვნის საგანი და საფუძველი, გაზარდოს ან შეამციროს მოთხოვნის მოცულობა, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე. ერთი შეხედვით ეს სავსებით ჩვეულებრივი საპროცესო უფლებამოსილებაა. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოში მის გამოყენებას შეიძლება განსხვავებული შედეგები მოჰყვეს. ამ კითხვაზე პასუხს რეგლამენტის 38-ე მუხლი იძლევა. კერძოდ, რომელიმე ამ უფლების გამოყენებისას საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს და განჩინებით გადაწყვიტოს სამართალწარმოების გაგრძელების ან თავიდან დაწყების საკითხი. როგორც წესი, სასამართლო ამ შემთხვევაში არკვევს, რამდენად სცილდება დასმული საკითხი თავდაპირველ სარჩელს, ანუ ხომ არ არსებობს ახალი სარჩელის შემოტანის საფუძველი. მხარემ უნდა გაითვალისწინოს ეს გარემოება და შემდეგ დააყენოს შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე.

მხარეს უფლება აქვს საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დააყენოს საკითხი საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმნის აცილებაზე, თუ :

- ა. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი მხარის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია;
- ბ. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიუკერძოებლობაში (სამართალწარმოების შესახებ კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტის პირობები პირდაპირ უკავშირდება მხარეთა საპროცესო უფლებამოსილებებს. საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტის საფუძველებია: ა) მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა;

ბ)საქმის განხილვის მომენტიანთვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა (სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-13 მუხლი).

ცალკე მივუბრუნდეთ საქმის შეწყვეტის მეორე საფუძველს კანონში 2002 წელს შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ აქტის გამომცემ ნებისმიერ ორგანოს უფლება გააუქმოს, ან ცვლილებები და დამატებები შეიტანოს მასში. ამ უფლების გამოყენება ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოში სადავო აქტის განხილვისას. საკონსტიტუციო სასამართლო ხშირად დამდგარა ამგვარი ფაქტის წინაშე, მათ შორის მაშინაც, როცა საქმეზე გადაწყვეტილების გამოსატანად სათათბირო ოთახში იყო გასული. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლო იძულებული იყო საქმის წარმოება შეეწყვიტა. ეს იმას ნიშნავდა, რომ თითქმის განხილულ საქმეზე გადაწყვეტილება არ მიიღებოდა, რითაც სადავო აქტით გამოწვეული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის ფაქტები რეაგირების, ხოლო სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი ღიად რჩებოდა. ამ გარემოებებმა განაპირობეს სამართალწარმოების კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, რის საფუძველზეც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა არ იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, თუ იგი ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როცა საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს ძალადაკარგული აქტის კონსტიტუციურობის საკითხი. ზემოაღნიშნული გარანტიები პირველ რიგში ორგანული კანონის 39-ე მუხლში მოცემული სუბიექტებისთვის არის გათვალისწინებული.

რაც შეეხება მოპასუხეს, იგი უფლებამოსილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ ცნოს სარჩელი. მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა არ იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ მოსარჩელის გამოუცხადებლობა არ იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას. რეგლამენტის 36-ე მუხლი სამართალწარმოების რომელიმე მონაწილის ერთი არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც კი იძლევა საქმის განხილვის შესაძლებლობას. უფრო მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა გარეშე განიხილოს და გადაწყვიტოს სადავო აქტის კონსტიტუციურობის საკითხი. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს ვურჩევთ, გაითვალისწინოს ეს გარემოება, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში და მთელი სისრულით გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი მოვალენი არიან კეთილსინდისიერად გამოიყენონ თავიანთი უფლებები. საკონსტიტუციო სასამართლოსადმი წინასწარი შეცნობით ყალბი ცნობების მიწოდება იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას (სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-14 მუხლი). აღნიშნულმა ნორმამ საინტერესო შინაარსი შეიძინა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში.

მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 18 სექტემბრის №1/2/6 განჩინება საქმეზე „მოქალაქეები ილია ანდრიაძე და გურამ ცუტურაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. დავის საგანს წარმოადგენდა „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს 1991 წლის 23 აპრილის კანონისა და „სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ

სამეურნეო დაკების განხილვის წესების“ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 5 ივნისის დადგენილების არაკონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე, 39-ე, 42-ე მუხლის პირველ და მეორე და 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებთან მიმართებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ დაარღვია კანონით მისთვის გათვალისწინებული მოვალეობები, თუმცა არ აღძრა შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე. სასამართლო იმით შემოიფარგლა, რომ მთლიანად შეწყვიტა საქმის განხილვა (მოგვიანებით ხელახლა იქნა შემოტანილი სარჩელი იმავე დავის საგანზე მხოლოდ ერთი მოსარჩელის მიერ).

სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევთა მიმართ ზომების გამოყენება, აგრეთვე წინასწარი შეცნობით ყალბი ცნობების მიწოდებასა და ჩვენებაზე უარის თქმის ან წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობა დგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი მოვალენი არიან უპასუხონ საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შეკითხვებს.

საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე. სასამართლო ვალდებულია მიუჩინოს თარჯიმანი პროცესის იმ მონაწილეს, რომელიც ვერ ფლობს სამართალწარმოების ენას.

## IX. საკონსტიტუციო სასამართლოს არსებითი განხილვის სხდომა

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით პირადი, პროფესიული, კომერციული, სახელმწიფო საიდუმლოების დასაცავად საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომა ან სხდომის ნაწილი შეიძლება დაიხუროს. როგორც წესი, არსებითი განხილვის სხდომის გახსნისთანავე სასამართლო წყვეტს ტელე, რადიო, აუდიო თუ ვიდეო ჩანაწერების დაშვების საკითხს.

სასამართლო სხდომა ტარდება ზეპირად. საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე:

- ა. გახსნის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომას და აცხადებს, თუ რომელი საქმე განიხილება არსებითად;
- ბ. ამოწმებს მოსამართლეთა კვორუმს და სხდომის ჩატარებისათვის პასუხისმგებელი სხდომის მდივნის გამოცხადებას;
- გ. ამოწმებს მხარეთა უფლებამოსილებას;
- დ. არკვევს სამართალწარმოების მონაწილეთა, მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა გამოცხადებას და მათ გამოუცხადებლობის მიზეზს. (ამავდროულად მოწმეს სთხოვს დატოვოს დარბაზი და დაელოდოს გამოძახებას);
- ე. აცხადებს საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობას და სხდომის მდივანს;
- ვ. სამართალწარმოების მონაწილეებს განუმარტავს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონმდებლობით მათთვის გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს;
- ზ. არკვევს სურთ თუ არა სამართალწარმოების მონაწილეებს დამატებით მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა გამოძახება ან დამატებით მტკიცებულებების გამოთხოვა.

ყოველივე ამის შემდგომ ცხადდება საქმის არსებითად განხილვის დაწყება. ამ ეტაპზე პირველი საპროცესო უფლება, რომლის გამოყენებაც მხარეებს შეუძლიათ, არის მოსამართლის, ექსპერტის, თარჯიმანის აცილება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ იმ საფუძვლების შესახებ, რამაც შეიძლება საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმანის აცილება გამოიწვიოს. ამავე მიზეზებით მათ უფლება აქვთ განერიდონ საქმის განხილვაში მონაწილეობას. აცილების შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს. არსებითი განხილვის დაწყების შემდეგ აცილების დაყენება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აცილების საფუძველი სათანადო პირისათვის ცნობილი გახდა საქმის არსებითი განხილვის შემდეგ. აცილების საკითხს წყვეტს საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლო. აცილების მიღების ან უარყოფის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს სათათბირო ოთახში გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. თუ აცილების საკითხის გადაწყვეტის შემდეგ მოსამართლეთა რაოდენობა ორამდე შემცირდა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს არსებითად განსახილველად დაუყოვნებლივ გადასცემს მეორე კოლეგიას.

არსებითი განხილვის სხდომაზე უამრავი შუამდგომლობა შეიძლება დაისვას, რაც სასამართლოს მხრიდან რეაგირებას საჭიროებს. ისმება კითხვა, თუ როგორ უნდა გაფორმდეს სასამართლოს გადაწყვეტილებები ამ საკითხებზე. პასუხი ნაწილობრივ მოცემულია საკონსტიტუციო სასამართლოს მარეგულირებელ აქტებში, რომლებიც კონკრეტულად მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში უთითებენ დასაბუთებული განჩინების (ანუ წერილობითი პასუხის) მიღების აუცილებლობაზე. ასეთია მაგალითად განჩინებები საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის, აცილების, სასარჩელო მოთხოვნის შეცვლის, საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. სხვა შემთხვევაში სასამართლო საკითხის სირთულის გათვალისწინებით წყვეტს შუამდგომლობაზე პასუხი წერილობითი უნდა იყოს თუ ზეპირი. როცა სასამართლო ადგილზე მოთათბირებით (ზეპირად) იღებს გადაწყვეტილებას, იგი შეაქვთ სხდომის ოქმში.

საქმის არსებითად განხილვა იწყება საქმის მომხსენებელი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მოხსენებით. საქმის მომხსენებელი მოსამართლე ვალდებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მოახსენოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებისა და საქმის არსებითად განხილვის საფუძველი, აგრეთვე საქმეში არსებული მასალების შინაარსი; უპასუხოს საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შეკითხვებს.

საქმის მომხსენებელი მოსამართლის მოხსენების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო მოისმენს ჯერ მოსარჩელის, ხოლო შემდეგ მოპასუხის განმარტებებს. მხარეთა მოსმენის შემდეგ სასამართლო მოისმენს მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა ჩვენებებს, აქვეყნებს საქმეში არსებულ და საქმის განხილვის მონაწილეთა მიერ წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებებს. ექსპერტთა და სპეციალისტთა დაკითხვამდე სხდომის თავმჯდომარე ადგენს მათ ვინაობას და წერილობით აფრთხილებს მათ ჩვენების მიცემაზე უარის ან წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენებების ან ყალბი დასკვნისათვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. თავმჯდომარე აგრეთვე აფრთხილებს თარჯიმანს შეგნებულად არასწორი თარჯიმანისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე. (სამართალწარმოების შესახებ კანონის 26-ე მუხლი).

საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მოწმეებს, ექსპერტებს და სპეციალისტებს.

სხდომის თავმჯდომარე საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უმრავლესობის თანხმობით, უფლებამოსილია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, მოხსნას მხარეთა, მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთათვის დასმული შეკითხვა.

საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების განხილვის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო მოისმენს საქმის განხილვის მონაწილეთა დასკვნით სიტყვებს. ჯერ გამოდიან მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი და ადვოკატი, ხოლო შემდეგ მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი და ადვოკატი.

დასკვნითი სიტყვების მოსმენის შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში, რის შესახებაც სხდომის თავმჯდომარე უცხადებს საქმის განხილვის მონაწილეებს და სხდომის დარბაზში მყოფ სხვა პირებს (სამართალწარმოების შესახებ კანონის 28-ე მუხლი). ეს ნიშნავს, რომ სასამართლო გადის გადაწყვეტილების მოსამზადებლად, ანუ საქმის არსებითი განხილვა დასასრულს უახლოვდება. სათათბირო ოთახში გასვლამდე მხარეებს ეცნობებათ გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღიც (ამ შემთხვევაშიც სასამართლო წყვეტს, რამდენი დრო დასჭირდება გადაწყვეტილების მოსამზადებლად).

სხდომის თავმჯდომარე გადაწყვეტილებას აცხადებს სხდომის დარბაზში.

## **X. კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადები**

კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღებიდან. განსაკუთრებულ შემთხვევებში სარჩელის განხილვის ვადას აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე (ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი). საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს საქმის განხილვის ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიმართავს საქმის განმხილველი კოლეგია. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გამოსცემს ბრძანებას, სადაც მიეთითება ვადის გაგრძელების მიზეზები და მისი ხანგრძლივობა. ზემოაღნიშნული კანონი და რეგლამენტი არ ითვალისწინებს საქმის განხილვის გაგრძელების ვადებს (რეგლამენტის 47-ე მუხლი).

## **XI. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება**

ტერმინს „გადაწყვეტილება“ განსხვავებული შინაარსი შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ შემთხვევაში. ზოგჯერ იგი ზოგადად აღნიშნავს სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტას (მაგალითად, როცა ამბობენ „სასამართლომ გადაწყვიტა“, ეს პირდაპირ არ მიუთითებს, თუ რა აქტი გამოსცა სასამართლომ). ამ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გაფორმდეს გადაწყვეტილების, განჩინების, საოქმო ჩანაწერის სახით. მეორე შემთხვევაში ამ ტერმინის გამოყენება პირდაპირ მიუთითებს როგორც სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტაზე, ისე აქტზე, რითაც ეს გადაწყვეტილება გაფორმდა. ამ თავის ფარგლებში ტერმინ „გადაწყვეტილებას“ ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ვიყენებთ. ე.ი.

ორგანული კანონის 39-ე მუხლიდან გამომდინარე სარჩელებზე სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს.<sup>2</sup>

სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სათათბირო ოთახში ღია კენჭისყრით. თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების დროს სათათბირო ოთახში უნდა იმყოფებოდნენ მხოლოდ ის მოსამართლეები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ საქმის განხილვაში. მოსამართლეს უფლება არა აქვს უარი განაცხადოს კენჭისყრაში მონაწილეობაზე და თავი შეიკავოს კენჭისყრისას მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა გადაწყვეტილებას (სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-7 მუხლი). შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ხელს აწერს საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრი, მიუხედავად პოზიციისა. მოსამართლეს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული აზრი, რომელიც მისი მოთხოვნით გადაწყვეტილებასთან ერთად ქვეყნდება პრესაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქართველოს სახელით.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. იგი შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილისაგან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეზე გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილების ასლი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

## **XII. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი**

### **შედეგები და აღსრულება**

არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს სადავო სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად ცნობას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უკუქცევითი ძალა არ გააჩნია და იგი ვერ გავრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადებამდე არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაზე. გარდა ამისა, სადავო ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ იწვევს ამ აქტის საფუძვლზე აღრე გამოტანილი სასამართლოს განჩინებისა და გადაწყვეტილებს გაუქმებას. ამ შემთხვევაში მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებაა შესაძლებელი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში განსაზღვროს გადაწყვეტილების აღსრულების დრო, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალადაკარგული აქტი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან აღარ მოქმედებს. შესაბამის ორგანოს კი ეძლევა ვადა

<sup>2</sup> სასამართლო ორ შემთხვევაში იღებს დასკვნას, დანარჩენ შემთხვევებში - გადაწყვეტილებას.

რათა შეავსოს აქტის ძალადაკარგულობით გამოწვეული ვაკუუმი. საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი იღებს ზომებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისთვის და თვეში ერთხელ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს მოახსენებს აღსრულების მიმდინარეობის თაობაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით.

## დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა ნუსხა საემოდ ვრცელია. ამ ნაშრომის ფარგლებში ჩვენი ინტერესის საგანს მხოლოდ ერთი კომპეტენცია წარმოადგენდა - საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს მოქალაქეების, საქართველოში მცხოვრები სხვა ფიზიკურ პირებისა და საქართველოს იურიდიულ პირების მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტების ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის წესი და პროცედურა.

თემაში შევეცადეთ ძალიან მოკლედ განგვეხილა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ამ უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური ინსტიტუტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ძირითადი ნიუანსები და ვფიქრობთ, იგი დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ საზოგადოებას.

საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის განხილვის სტადიები ფიზიკური და იურიდიული პირებისა და საქართველოს სახალხო დამცველის შემთხვევაში

